# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 27-47

„30“ ივნისი 2023 წ

ქ. თბილისი

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2023 წლის პირველი აგვისტოდან.

მუხლი 2.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ (ს/კ 202886788), მის მიერ 2023 წლის პირველ აგვისტომდე შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელთან (ჯარიმასთან) ან/და საურავის დარიცხვის

შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელთან (ჯარიმასთან) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ქმედება განახორციელოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

**მუხლი 3.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე                                        გიორგი ტყემალაძე